საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მაღალმთის მუხა

მაღალმთის მუხა

მაღალმთის მუხა, აღმოსავლური მუხა (Quercus macranthera), ხე წიფლისებრთა ოჯახიდან (Fagaceae), საქართველოში გავრცელებული მოკლეყუნწიანი ან მჯდომარენაყოფებიანი (პონტოური მუხა, ქართული მუხა, ჭოროხის მუხა) მუხების ჯგუფიდან. მ. მ. 20–28 მ სიმაღლის ხეა მსხვილი, მოკლე ღეროთი და დაფარულია სქელი, მუქი ქერქით. ერთწლიანი ტოტები სქლადაა შებუსული მოყვითალო-რუხი გრძელი ბანჯგვლიანი ბეწვებით. ფოთლები მკვრივია, ტყავისებური, ქეჩის მსგავსად შებუსული, ზემოდან მუქი მწვანეა, ქვემოდან კი – მოყვითალო-მონაცრისფრო (მეტ-ნაკლებად შებუსული). მოყვანილობით ოვალური ან კვერცხისებრია, თითოეულ მხარეზე 8–12 მოკლე, ბლაგვი, კიდემთლიანი ან მსხვილკბილებიანი ნაკვთებით. იზრდება ტყის შუა და ზედა სარტყლებში, სამხრ-ით მშრალ ფერდობებზე ქმნის მუხნარ ტყეებს. ცალკეულად გვხვდება ფოთლოვან, ფიჭვნარ ტყეებში, კახეთში – გომბორის ქედზე. აგრეთვე გავრცელებულია სვანეთში, რაჭაში, ლეჩხუმში, შიდა ქართლში, ფშავში, ხევსურეთში, თრიალეთსა და მესხეთში. როგორც მოწყვლადი სახეობა შეტანილია საქართვ. „წითელ ნუსხაში“.

ლიტ.: კახეთის რეგიონის მცენარეები, თბ., 2018.